

**Floriant Gille. Lettres sur le Caucase et la Crimée, ouvrage enrichi de trente vignettes dessinées d'après nature, et d'une carte dressée au dépôt topographique de la guerre à St. Pétersbourg. Paris, 1859**

Dubois de Montpéroux a donné une description animée de (261) Tiflis. Lorsqu'il la visita, il y a vingt-cinq ans, la ville n'avait que vingt-cinq mille âmes; elle en a cinquante mille aujourd'hui. Exposée souvent à toutes les calamités de l'Orient, elle a été ruinée bien des fois. Sans remonter jusqu'à sa destruction par Timour, il n'y a guère plus de soixante ans qu'elle fut dévastée (1795) par Aga-Mohammed-Khan, roi de Perse. (262)

დიუბუა დე მონპერემ<sup>1</sup> მოგვცა თბილისის ცოცხალი აღწერა, როდესაც მან ეს ქალაქი 25 წლის წინ ინახულა; იმ დროს იქ მხოლოდ 25,000 სული ცხოვრობდა, დღეს კი 50,000 სულია. აღმოსავლეთის ყოველგვარი უბედურებების პირისპირ ხშირად მდგარი თბილისი მრავალჯერ დანგრეულა. თემურის მიერ მის ნგრევას თუ არ ვახსენებთ, 60 წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ის სპარსეთის მეფემ, ალა მაჰმად ხანმა გააცამტვერა (1795).

\*\*\*

Dans l'aspect de ses édifices et aussi de son existence, c'est à la fois l'Asie et l'Europe. Les anciennes églises avec leurs dômes à toit aigu, le bazar qui a conservé toute sa physionomie orientale, le vieux Tiflis en un mot c'est toujours l'Asie; mais dans les dernières vingt-cinq années, le nouveau Tiflis a pris un aspect européen, avec son long boulevard, ses maisons espacées et élégantes et ses riches magasins. (262)

შენობების იერსახითა და თავისი არსით, ქალაქი ერთდროულად აზიაც არის და ევროპაც. ძველი ეკლესიები წვეტიანი გუმბათებით, ბაზარი, რომელმაც მთლიანად შეინარჩუნა აღმოსავლური იერსახე, ერთი სიტყვით, ძველი თბილისი კვლავ აზიაა; მაგრამ უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში ახალმა თბილისმა თავისი გრძელი ბულვარით, ერთმანეთისაგან დაცილებული ელეგანტური სახლებითა და მდიდრული მაღაზიებით, ევროპული იერსახე შეიძინა.

\*\*\*

De grands embellissements y sont en voie d'exécution. Ainsi la place autrefois Madatov, aujourd'hui Alexandre, nom du souverain qui inspire ces embellissements au Prince-Lieutenant, va être changée en un vaste jardin public et métamorphosée par de nouvelles constructions. Cette place deviendra une des beautés du nouveau Tiflis. Elle aboutit au superbe pont qui a été jeté sur la Koura, sous l'administration du prince Vorontzov à qui le prince Bariatinsky, son successeur, s'occupe de faire élever un monument qui ornera l'avenue du pont. (262)

---

<sup>1</sup> შვეიცარიელმა მოგზაურმა, სიძველეთა მკვლევარმა და გეოლოგმა მარი-ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ (1798-1850) 1831-1834 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ყირიმსა და ამიერკავკასიაში.

მიმდინარეობს ქალაქის დიდი გალამაზება. მადათოვის ძველი მოედანი, რომელიც ამჟამად ალექსანდრეს<sup>2</sup> – იმ იმპერატორის სახელობისაა, რომელიც მეფისნაცვალს სტიმულს აძლევს ამ გამშვენებების საქმეში, დიდ საზოგადოებრივ ბაღად იქცევა და ახალი მშენებლობებით გარდაიქმნება. ეს მოედანი ახალი თბილისის ერთ-ერთი მშვენება გახდება. ის ებჯინება თავად ვორონცოვის მმართველობის დროს მტკვარზე აშენებულ შესანიშნავ ხიდს<sup>3</sup>; თავად ვორონცოვის შემცვლელი თავადი ბარიატინსკი იქ მის ძეგლს დაადგმევინებს, რომელიც ხიდის გამზირს დაამშვენებს.

\*\*\*

Je ne ferai pas ici une description historique que l'on peut lire ailleurs; je me bornerai à signaler quelques traits qui m'ont frappé dans la physionomie de Tiflis et le contraste qu'y offre la présence des deux éléments de l'Orient et de l'Occident, chose curieuse à la vue et intéressante à l'esprit. (262)

აღარ მოვყვები იმ ისტორიულ ამბებს, რომელთა წაკითხვა სხვაგანაც შეიძლება; აქ მხოლოდ იმ რამდენიმე შტრიხზე მივუთითებ, რომლებმაც თბილისის ხასიათში გამოაცა და იმ კონტრასტზეც, რომელიც გვთავაზობს აღმოსავლური და დასავლური ელემენტების არსებობას, უცნაურს სანახავად და საინტერესოს თავისი მნიშვნელობით.

\*\*\*

Je dirai d'abord quelques mots des deux églises les plus remarquables; l'ancienne cathédrale de Sion, aujourd'hui celle du culte orthodoxe, est dans le vieux Tiflis, au centre même du quartier du bazar. C'est une des plus anciennes églises de la chrétienté, et un reflet évident de Byzance, quand on contemple de l'intérieures voûtes qui me rappelèrent un peu celles de Saint-Marc de Venise. Tant de fois ravagée et détruite, elle a toujours été réédifiée d'après l'ancien plan. Le prince Gagarine a fait l'impossible pour reproduire aux voûtes ses anciennes peintures disparues, sans doute dans la dévastation de l'année 1795. La relique la plus précieuse qu'on y vénère est la croix avec laquelle sainte Nina bénissait le peuple. Cette croix est faite de deux ceps de vigne noués avec les cheveux de la sainte. Nina, contemporaine de sainte Rhipsimé et de sainte Gaïané, dont nous retrouverons le souvenir à Edchmiadzin, avait fui de Rome lors des persécutions. Elle apporta d'Arménie le christianisme en Géorgie au commencement du ive siècle (262-263).

თავდაპირველად რამდენიმე სიტყვას ყველაზე უფრო გამორჩეული ორი ეკლესიის შესახებ ვიტყვი. სიონის ძველი საკათედრო ტაძარი, მართლმადიდებლური ღვთისმსახურების ტაძარი

<sup>2</sup> იგულისხმება ალექსანდრე II-ს სახელობის ბაღი, რომელიც 1859 წელს არქიტექტორ ო. სიმენსონის პროექტით გაშენდა. 1865 წელს ბაღმა საბოლოო სახე მიიღო. 2000 წლიდან იწოდება გიორგი ლეონიძის სახელობის ბაღად (თ. კვიციანი, ძველთბილისური დასახელებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985, 25).

<sup>3</sup> 1844-1854 წლებში ამიერკავკასიაში მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, დავალებით იტალიელმა არქიტექტორმა ჯოვანი სკულიერიმ შეადგინა ხიდის პროექტი, რომლის მშენებლობა დაიწყო 1848 წელს და დასრულდა 1853 წელს. ის ერთადერთი ხიდია მტკვარზე, რომელმაც ჩვენამდე პირვანდელი სახით მოაღწია (იქვე).

ძველ თბილისში, ბაზრის უბნის ცენტრში მდებარეობს. ის ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია და ბიზანტიური ეკლესიის აშკარა გამოხატულება<sup>4</sup>, თუ მის შიდა თაღებს შევხედავთ, რომლებიც, ოდნავ, ვენეციის წმინდა მარკოზის ტაძრის თაღებს მახსენებენ. მრავალჯერ შემუსრულსა და დანგრეულს, მას მუდამ ძველი გეგმის მიხედვით აღადგენდნენ. თავადმა გაგარინმა ყველაფერი გააკეთა მის თაღებზე ძველი მხატვრობის აღსადგენად, რომლებიც უდავოდ 1795 წლის ნგრევის დროს გაქრა. ყველაზე ძვირფასი რელიკვია, რომელსაც ეთაყვანებიან, წმინდა ნინოს ჯვარია, რომლითაც მან ხალხი დალოცა. ეს ჯვარი წმინდანის თმებით შეკრული ვაზის ორი ლერწმისგანაა გაკეთებული. ნინო იმ წმინდა რიფსიმესა და წმინდა გაიანეს<sup>5</sup> თანამედროვეა, რომელთა ხსოვნასაც ეჩმიაძინში ვიხილავთ და რომლებიც რომიდან გამოიქცნენ დევნის დროს. ქრისტიანობა საქართველოში ნინომ IV საუკუნის დასაწყისში სომხეთიდან შემოიტანა.

\*\*\*

L'église de Saint-David, petite, toute simple, vénérable, est placée sur le penchant de la montagne\* qui domine Tiflis, sur le lieu même où était la cellule de ce saint, l'un des Pères venus de Syrie, au iv<sup>e</sup> siècle, pour prêcher la religion chrétienne en Géorgie. Il vécut longtemps dans cette cellule et se retira, pour y mourir, à 50 verstes de Tiflis, dans ce que l'on appelle *Gharedjinskaia Poustnia* (le désert de Gharedja), où sa cendre repose (263).

წმინდა დავითის ეკლესია, პატარა, სრულიად სადა და ძველი, იმ მთის კალთაზე მდებარეობს, რომელიც თბილისს თავზე დაჰყურებს. ის იმავე ადგილზეა, სადაც IV საუკუნეში სირიიდან საქართველოში ქრისტიანული რელიგიის საქადაგებლად ჩამოსული ერთ-ერთი მამის, ამ წმინდანის სენაკი იყო<sup>6</sup>. ის დიდხანს ცხოვრობდა ამ სენაკში და მოსაკვდომად თბილისიდან 50 ვერსზე [53 კმ], იმ ადგილზე წავიდა, რომელსაც გარეჯინსკაია პუსტინიას (გარეჯას უდაბნოს – J.) უწოდებენ და სადაც მისი ნეშტი განისვენებს.

\*\*\*

Je m'assis au pied de cette église, devant le tombeau de Griboïédov, le poète russe brillant, qui, devenu le ministre de son souverain à Téhéran, y périt dans une émeute populaire en 1829 (263).

<sup>4</sup> თბილისის სიონის ჯვაროვან-გუმბათოვანი ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია.

<sup>5</sup> რიფსიმე და მისი დედა–მძუძე გაიანე ნინოსთან და კიდევ ორმოცდაათ სულთან ერთად "საბერძნეთიდან", ანუ რომის იმპერიიდან ლიციინუსის დევნას გამოექცნენ სომხეთში, სადაც ისინი სავარაუდოდ 317 წლის 15 მარტს მოვიდნენ, ხოლო იწამნენ 30 მარტს თრდატ მეფის ბაღში. ქალწულთაგან მხოლოდ ნინო გადარჩა, რომელიც ვარდის ბუჩქებში დაიმალა (შატბერდის კრებული X საუკუნისა, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილიმა და ელ. გიუნაშვილმა, „მეცნიერება“, თბილისი, 1979, 332; ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი, „ზაბილონიდან მირიანამდე“, კლიო, № 17, თბილისი, 2003, 3–67).

<sup>6</sup> ასურელი მამები – საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც საქართველოში VI საუკუნეში მოსულა სირიიდან. საქართველოში მათი მოღვაწეობის მიზანი ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცება იყო. ერთ-ერთი ასურელი მამა იყო დავით გარეჯელი (ზაბილინა ლომინაძე, ქსე, I, თბილისი, 1975, 661–662).

მე ამ ეკლესიის ძირში ბრწყინვალე რუსი პოეტის, გრიბოედოვის საფლავთან ჩამოვჯექი, რომელიც თავისი სუვერენის მინისტრი იყო თეირანში და 1829 წელს იქ მოსახლეობის აჯანყების დროს გარდაიცვალა. მისმა ქვრივმა, ქალიშვილობაში ჭავჭავაძემ<sup>7</sup>, მის საფლავზე, იმ ტერასის ქვეშ აღამართვინა ძეგლი, რომელზეც ეკლესია დგას. იქიდან ჩამოვედი მამა ჟოზეფთან ერთად, რომელიც 1810 წლიდან მსახურობს ამ ეკლესიაში. გაოცებული ვიყავი ამ მღვდლის ლამაზი სახის სიმშვიდით, რომელსაც ვესაუბრებოდი.

\*\*\*

Ce qui est encore tout à fait l'Orient à Tiflis c'est l'ancien bazar; on y est en Asie. Les boutiques nombreuses, diverses, s'y succèdent pressées les unes aux autres, y étalant toutes les industries, toutes les habitudes du travail de l'Orient. Tailleurs en tous genres pour hommes et pour femmes, faiseurs de *chalvars* (larges pantalons), *d'akhaloukhs* (riches tuniques géorgiennes de couleur vive), de *tchekmettes* et de *béchemettes* circassiens, tisseurs de galons d'or et d'argent, brodeurs, armuriers, vendeurs de fruits, etc., tout cela en plein air, pour ainsi dire, au milieu d'une grande cohue, dans des passages étroits, où l'on est quelquefois heurté par les porteurs d'eau, qui transportent leur liquide dans des outres immenses, dépouilles humides d'animaux qui, ballottées sur l'âne ou le cheval qui les porte, ont une apparence de vie convulsive. On y voit confondus tous les costumes divers du Caucase, ceux du nord et ceux du sud, et la variété caractéristique des physionomies à qui ces costumes appartiennent. Il n'y a pas de devantures aux boutiques; les ouvriers, les jambes croisées à l'orientale, y travaillent devant vous. Le soir venu, ces boutiques se ferment avec des volets de bois, et le bazar bruyant, devenu désert et silencieux, est confié à la surveillance des guetteurs de nuit, comme à Constantinople ou ailleurs en Orient (263-264).

ის, რაც თბილისში ჯერ კიდევ სრულიად აღმოსავლურია, ეს ძველი ბაზარია; აზიაში ვართ. უამრავ და ნაირგვარ დუქანში, რომლებიც ერთმანეთს მიჰყვებიან, წარმოდგენილია აღმოსავლური ხელოსნობის ყველა მიმართულება და მუშაობის გამოცდილება. კაცისა და ქალის ყველანაირი სამოსის, შალვრების (*chalvars* – ფართო შარვალი – J.), ახალუხებისა და ქართული მკვეთრი ფერების ტუნიკების, ჩექმეთებისა (*tchekmettes* – J.) და ბემშეთების (*béchemettes* – J.)<sup>8</sup> თერძები, ოქროსა და ვერცხლის სირმების ოსტატები, მქარგავები, მეიარაღეები, ხილის გამყიდველები და ა.შ. – ყოველივე ეს, ასე ვთქვათ, სუფთა ჰაერზე, ხალხის ბრბოში და იმ ვიწრო გასასვლელებშია, სადაც ზოგჯერ წყლის დამტარებლებს ეჯახები, რომლებსაც თავიანთი სითხე გატანჯული იერსახის ვირებზე ან ცხენებზე აკიდებული ცხოველების სველი გარსით – უზარმაზარი ტიკებით დააქვთ. აქ ნახავ ერთმანეთში შერეულ კავკასიის ჩრდილოეთისა თუ სამხრეთის მცხოვრებთა ყოველნაირ კოსტიუმს და მათი პატრონების გარეგნობის დამახასიათებელ მრავალფეროვნებას. დუქნებს

<sup>7</sup> ალექსანდრე გრიბოედოვი 1829 წლის 30 იანვარს მოკლეს თეირანში. მეუღლის საფლავზე ნინო ჭავჭავაძემ (1812-1857) ძეგლი აღამართვინა წარწერით: „საქმე და ჭკუა შენი უკვდავია რუსთა ხსოვნაში... მაგრამ რატომ ცოცხლობს შენზე დიდხანს ჩემი სიყვარული?“

<sup>8</sup> ჩექმეთი და ბემშეთი – ჩრდილო კავკასიასა და შუა აზიაში გავრცელებული ახალუხი, მაგრამ უფრო მოკლე, კაცის ზედა სამოსელი.

არ აქვთ ვიტრინები; აღმოსავლურად ფეხმორთხმული ხელოსნები თქვენ წინ მუშაობენ. სადამოს ეს დუქნები ხის დარაბებით იხურება, ხმაურიანი ბაზარი უდაბური და ჩუმი ხდება. ის ღამის დარაჯებისთვისაა მინდობილი, ისევე, როგორც კონსტანტინოპოლში ან სადმე აღმოსავლეთში.

\*\*\*

Je visitai l'atelier (il n'est pas au bazar) de l'armurier Giourg (George), qui a une certaine réputation à Tiflis. Il fabrique de bonnes lames, de couteaux de chasse surtout, et il est habile dans l'incrustation sur fer des ornements en or, dans le goût persan. Les belles étoffes de la Perse, les tapis aux mille couleurs, etc., se vendent dans les grands magasins qui sont établis autour du théâtre, y formant un bazar d'un genre nouveau. Il faut ici faire attention et distinguer entre les produits purs de la Perse et ceux de Chemakha qui leur ressemblent tellement, que les étoffes de soie de cette ville de la Transcaucasie sont presque aussi belles. Il y a cependant une différence (265).

მე მეიარაღე გიორგის<sup>9</sup> სახელოსნოში მივედი (ის არ არის ბაზარში – J.), რომელსაც თბილისში გარკვეული რეპუტაცია აქვს. ის სანადირო დანის განსაკუთრებით კარგ პირებს ამზადებს და რკინაზე სპარსული გემოვნების ოქროს ორნამენტების კეთებაშიც არის დახელოვნებულია. ღამაში სპარსული ქსოვილები, ათასფერი ხალიჩები და სხვა საქონელი თეატრის გარშემო განლაგებულ დიდ მაღაზიებშიც იყიდება, რაც ახალი ტიპის ბაზარს ქმნის. იქ ყურადღებით უნდა იყო, რომ წმინდა სპარსული საქონელი გაარჩიო შემახურისგან, რომელიც ძლიერ ჰგავს სპარსულს, რადგან ამიერკავკასიის ამ ქალაქში წარმოებული აბრეშუმის ქსოვილები თითქმის სპარსულივით ღამაშია. მიუხედავად ამისა, განსხვავება არის.

\*\*\*

Que de choses à développer dans ce beau pays! L'élément arménien, intelligent, actif, *persistant* (c'est un de ses traits caractéristiques) y a une grande action. Cette nation remarquable tend à y augmenter son influence avec sa richesse; mais néanmoins, malgré les sympathies qu'elle inspire, il est à désirer que cette influence ne soit pas unique et exclusive, et qu'elle soit contre-balancée, au profit du pays, par le développement de l'élément russe et aussi de bons éléments appelés de l'étranger. Il faut attirer en Géorgie les capitaux par l'encouragement donné aux entreprises particulières. La valeur des terres qui a, je crois, triplé en vingt-cinq ans, est du reste un indice de ce que l'avenir promet à ce pays sous une bonne administration. (266)

რამდენი რამ არის განსავითარებელი ამ ღამაზე ქვეყანაში! სომხური ელემენტი, ჭკვიანი, აქტიური და შეუპოვარი (ეს მათი დამახასიათებელი თვისებაა – J.), აქ ძალიან საქმიანია. ეს ყურადღების ღირსი ერი სიმდიდრის მეშვეობით ცდილობს თავისი გავლენის გაზრდას.

---

<sup>9</sup> მიხეილ ლერმონტოვის ცნობით, ცნობილი თბილისელი მესაჭურველების, „ხანჯლებისა და ხმლების ოსტატების“ დუქნები, სადაც მესაჭურველ „გეურქას“ დუქანიც იყო, მეტეხის აღმართზე მდებარეობდა (ირაკლი ანდრონიკაშვილი, საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში. თბილისი, „საბჭოთა მწერალი“ 1953, 117).

მაგრამ მათ მიმართ სიმპათიის მიუხედავად, სასურველია, რომ ეს გავლენა არ იყოს ერთადერთი და ექსკლუზიური, ხოლო ქვეყნის სასარგებლოდ ის უნდა გაწონასწორდეს რუსული ელემენტის განვითარებითა და აგრეთვე უცხოეთიდან მოწვეული კარგი ხალხით. საჭიროა საქართველოში კაპიტალის მიზიდვა და კერძო კომპანიების წახალისება. ვფიქრობ, რომ დღევანდელი მიწის ფასი, რომელიც ჩემი აზრით, 25 წელიწადში გასამმაგდება, იმის მაჩვენებელია, თუ რას ჰპირდება მომავალი ამ ქვეყანას კარგი მმართველობის პირობებში.

\*\*\*

Au milieu du nouveau Tiflis et sur son boulevard même tout européen, il va une protestation brillante de l'élément asiatique. Elle est trop remarquable pour ne pas être mentionnée. Je veux parler de la maison ou plutôt du palais qu'un riche Arménien vient d'y faire élever (267).

ახალი თბილისის ცენტრში, მის სრულიად ევროპულ ბულვარზე, აზიური ელემენტის ბრწყინვალე განცხადებაა. ის იმდენად თვალსაჩინოა, რომ უნდა ვახსენო. ეს ეხება ერთ სახლს, უფრო სწორად, სასახლეს, რომელიც იქ ახლახან ერთმა მდიდარმა სომეხმა ააშენა.

\*\*\*

A l'extérieur, l'édifice a une physionomie mixte qui tient de l'Asie et de l'Europe, plutôt de celle-ci; mais à l'intérieur, c'est l'Asie avec toute sa richesse d'ornements, dans le goût turc et persan. — Jardins d'hiver et d'été, terrasses, jets d'eau, belles plantes, kiosques, galeries, salles de réception, de concert et autres, chambres, cabinets, bains, boiseries sculptées, murailles et plafond semés de facettes de miroirs, niches de même; et, au milieu de tout cela, dans les détails d'ornementation, les mille jeux chatoyants de ces couleurs vives, mélangées que l'Inde et la Perse étalent dans leurs tapis, leurs châles et leurs étoffes. — Voilà ce que j'ai vu dans un palais qui a bien cinquante pièces grandes ou petites. Il n'est pas sûr que le Schâh actuel de Perse ait une aussi belle habitation (267-268).

შენობის ექსტერიერი ნარევია – აზიურიცაა და ევროპულიც, უფრო კი ევროპულია, მაგრამ ინტერიერი, თურქული და სპარსული გემოვნების დეკორაციების მთელი სიმდიდრით, აზიაა. – ზამთრისა და ზაფხულის ბაღები, ტერასები, შადრევნები, ლამაზი მცენარეები, ფანჩატურები, გალერეები, მისალები და საკონცერტო დარბაზი და სხვა ოთახები; სამინებლები, კაბინეტები, სააბაზანო ოთახები, მოჩუქურთმებული ხის პანელები, სარკის ფასეტებით<sup>10</sup> დაფარული კედლები, ჭერი და ნიშებიც კი. ყოველივე ამაში, ორნამენტების დეტალებში კაშკაშა ფერების ის ათასი მოციმციმე ნაპერწკალი ანათებს, რომლებიც ინდოეთისა და სპარსეთის ხალიჩებში, შალეებსა და ქსოვილებშია მიმოზნეული. – აი რა ვნახე სასახლეში, რომელშიც ორმოცდაათიოდე დიდი და პატარა ოთახია. არ ვარ დარწმუნებული, რომ სპარსეთის ახლანდელ შაჰს<sup>11</sup> აქვს ასეთი ლამაზი საცხოვრებელი.

<sup>10</sup> ფასეტი – ირიბად ჩამოხრილი, დაცვრებული გვერდითი წახნაგი რისამე, მაგ. სარკის.

<sup>11</sup> იგულისხმება ნასერ-ად-დინ შაჰი (1831-1896) – ირანის შაჰი 1848–1896 წლებში.

\*\*\*

En Europe, un tel palais coûterait certainement des sommes immenses. A Tiflis, où les choses de la vie européenne sont hors de prix, mais où la vie asiatique conserve encore son bon marché, le propriétaire de ce palais qui a eu la bonne idée d'y employer, presque exclusivement, une foule de ces habiles ouvriers turcs et persans que l'on rencontre dans la Transcaucasie, n'a dépensé qu'une somme comparativement minime. C'est cependant un caprice de millionnaire, car on m'a parlé de 400,000 roubles (1,600,000 francs). (268).

ევროპაში ასეთი სასახლე უეჭველად ძალიან ძვირი ეღირებოდა. თბილისში, სადაც ევროპულ ყაიდაზე ცხოვრებისთვის საჭირო საგნები ძალიან ძვირია, მაგრამ კვლავ იაფია აზიური, ამ სასახლის პატრონს კარგი აზრი მოუვიდა, რომ მინიმალურ თანხად თითქმის მხოლოდ თურქი და სპარსელი კვალიფიციური ხელოსნების ჯგუფი დაექირავებინა, რომლებსაც ამიერკავკასიაში შეხვდები. ამასობაში, როგორც მითხრეს, მილიონერის ეს ახირება 400,000 რუბლი დაჯდა (1,600,000 ფრანკი).

\*\*\*

En propriétaire prévoyant, il a songé à la vue à l'extérieur. Pour qu'elle ne soit point masquée, il a acheté à l'avance la place environnante. Le terrain va en pente. Au revers, le palais est dominé par la montagne de Saint-David qui alimentera ses réservoirs et fera jaillir ses jets d'eau. Le devant de l'édifice regarde sur le fleuve; et, dans le bas, mais séparés par un grand espace dont on peut faire encore un jardin, sont des magasins où le riche Arménien peut établir un nouveau bazar. Mais que fera-t-il du palais même qui semble ne pouvoir être habité que par un souverain? C'est ce que je me demandais. C'est peut-être son secret. Si ce n'est qu'un caprice, il est de grand luxe et du meilleur goût (268).

შორსმჭვრეტელმა მფლობელმა ხედზეც იფიქრა. შენობა რომ არ დაფარულიყო, მან წინასწარ იყიდა მიმდებარე ადგილი, რომელიც ფერდობია. უკანა მხრიდან სასახლეს დაჰყურებს წმინდა დავითის მთა, საიდანაც შეივსება მისი რეზერვუარები და მიაწოდებს წყლის ჭავლს. შენობის ფასადი მდინარეს გადაჰყურებს; ქვევით ფართობი გამოყოფილია დიდი სივრცით, სადაც ბაღის გაშენებაც შეიძლება, მაღაზიებია და მდიდარ სომეხს იქ ახალი ბაზრის დაარსება შეუძლია. მაგრამ როგორ მოიქცევა ამ სასახლის მიმართ, რომელშიც, ჩემი აზრით, მხოლოდ სუვერენმა შეიძლება იცხოვროს? სწორედ ეს მაინტერესებდა. ეს ალბათ მისი საიდუმლოა. თუკი ეს მხოლოდ ახირებაა, ეს დიდი ფუფუნება და კარგი გემოვნებაა.

\*\*\*

Cet Arménien, qui est marié, mais qui n'a pas d'enfants, se nomme Archaghouni. Il est *golova* (maire) des marchands de Tiflis, *bourgeois notable*, et a fait sa fortune dans les pêcheries de Saliane. (269).

ეს სომეხი, რომელსაც ჰყავს ცოლი, მაგრამ არ ჰყავს შვილები, გვარად არშაკუნია<sup>12</sup>. ის თბილისელი ვაჭრების თავი (golova – J.), წარჩინებული ბურჟუაა, რომელმაც ქონება სალიანში თევზჭერით იშოვა<sup>13</sup>.

\*\*\*

Le vieux Tiflis tend néanmoins à disparaître, et il faut y chercher dans les anciennes maisons ces salles de rez-de-chaussée, à demi souterraines, qui y existaient nombreuses autrefois, et où, dans les grandes chaleurs de l'été, à l'instar, je crois, du *patio* espagnol, on va se réfugier pour trouver la fraîcheur (269).

ამასობაში, ძველი თბილისი ნელ-ნელა ქრება და სამეზობლო ხდება ძველი სახლების ქვედა სართულის ნახევრად მიწური ოთახები, რომლებიც ადრე მრავლად იყო და სადაც ზაფხულის დიდი სიცხის დროს, ესპანური შიდა ეზოს მსგავსად, ხალხი სიგრილეს აფარებდა თავს.

\*\*\*

M. Mélik Bégliaïrov, mon hôte obligeant, me fit connaître une de ces salles, située dans une ancienne maison, au fond d'une cour plantée d'arbres. (269).

ბატონმა მელიქ ბეგლიაროვმა<sup>14</sup>, ჩემმა თავაზიანმა მასპინძელმა, ერთ-ერთი ასეთი ოთახი ხეებით სავსე ეზოს სიღრმეში მდებარე ძველ სახლში მაჩვენა.

\*\*\*

Tiflis a une section de la Société de géographie dont les mémoires se publient; un petit musée que je visitai avec M. Berger. J'y vis divers objets de l'ethnographie du Caucase, des costumes des peuples montagnards, celui, par exemple, des Khevsours qui portent, comme je l'ai dit, le signe de la croix; une assez riche collection de minéraux et d'insectes du Caucase parmi lesquels la célèbre et hideuse *phalanga*, ou araignée-scorpion, grande comme une soucoupe, l'ennemie du scorpion à qui elle livre un

---

<sup>12</sup> 1858–1860 წლებში თბილისის მერის, ვარდან არშაკუნის სასახლე XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს არქიტექტორ გრიგორი ივანოვის პროექტით აშენდა. 1869–1886 წლებში ამ სახლში „საარტისტო წრე“ იყო, 1922 წლიდან კი მასში სამხატვრო აკადემია ფუნქციონირებს.

<sup>13</sup> ფლორიან ჟილის შენიშვნა: „სალიანი, სადაც ბოლო წლებში ძლიერ განვითარდა მეთევზეობა, დელტის ზედა ნაწილში, მტკვრის ტოტებით შექმნილ შესართავში მდებარეობს. იქ უხვადაა რამდენიმე ჯიშის თევზი. იქ იჭერენ დახვეწილი არომატის მქონე ქაშაყის ზომის თევზს, რომელსაც სპარსელები „თევზების შაჰს“, შაჰმაიას, უწოდებენ. ის ასეა ცნობილი თბილისში, სადაც მას დამარილებულს ყიდიან“.

<sup>14</sup> გენერალი ერმოლოვის მმართველობის დროს შამირ მელიქ-ბეგლიაროვი სპარსული ენის თარჯიმანი იყო, რუსეთ-ირანის 1826–1828 წლების ომში იგი პორუჩიკის წოდებით მონაწილეობდა, 1827 წელს მან კაპიტნის, რუსეთ-თურქეთის 1828–1829 წლების ომში გამოჩენილი მამაცობისთვის მას ვიცე-პოლკოვნიკის, 1847 წელს კი კავალერიის პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს. 1850 წელს იგი სამხედრო სამსახურიდან გენერალ-მაიორის წოდებით გადადგა.

combat mortel où elle est souvent victorieuse. M. Berger me montra la Bibliothèque publique emménagée dans un beau local qui renferme la typographie où s'impriment la *Gazette du Caucase* et le *Calendrier du Caucase* (Kavkazskii Kalendar), fort intéressant recueil comptant déjà treize années d'existence et qui contient beaucoup d'excellents renseignements sur l'histoire, la géographie et l'ethnographie du Caucase, l'œuvre de plusieurs savants et écrivains consciencieux parmi lesquels M. Berger, élève de l'université de Moscou, a pris une place honorable, à part celle qu'il occupe dans la direction de ces établissements et dans la chancellerie du Prince-Lieutenant (271).

თბილისში არის გეოგრაფიული სექცია, რომლის შრომებიც ქვეყნდება. ბ-ნ ბერჟესთან<sup>15</sup> ერთად პატარა მუზეუმიც დავათვალიერე. იქ კავკასიის სხვადასხვა ეთნოგრაფიული ნივთი ვნახე, მათ შორის მთიელების – ხევსურების კოსტიუმები, რომლებზეც ჯვარია გამოსახული; ვნახე კავკასიის მინერალებისა და მწერების საკმაოდ ძვირფასი კოლექცია, რომელთა შორის არის უცნობილესი, თევშივით დიდი მახინჯფალანგიანი ობობა-მორიელი – მორიელის მტერი, რომელსაც ის სამკვდროდ ებრძვის და ხშირად იმარჯვებს. ბ-ნმა ბერჟემ მაჩვენა ლამაზ შენობაში განთავსებული საჯარო ბიბლიოთეკა, რომელშიც გამართულია ტიპოგრაფია, სადაც ბექდავენ (427) გაზეთ „კავკაზს“<sup>16</sup> და „კავკასიის კალენდარს“<sup>17</sup> – მეტად საინტერესო კრებულს, რომელიც უკვე ცამეტი წელია გამოდის და რომელშიც მოცემულია ბევრი შესანიშნავი ინფორმაცია კავკასიის ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, აგრეთვე რამდენიმე კეთილსინდისიერი მეცნიერისა და მწერლის ნაშრომები, რომელთა შორის მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ბ-ნ ბერჟეს, საპატიო ადგილი ეკუთვნის, გარდა იმისა, რომელიც მას ბიბლიოთეკის დირექციასა და მეფისნაცვლის კანცელარიაში უჭირავს.

\*\*\*

Parmi les établissements d'éducation, je dois mentionner l'Institut des demoiselles nobles, qu'à Pétersbourg l'on m'avait dit de visiter. Sa création date du maréchal Paskévitch. Il a pour directrice la respectable M<sup>me</sup> de Knipherr qui, à deux reprises, me montra l'intérieur de la maison située dans la partie haute de la ville, dans une localité très-saine, avec la jouissance d'un superbe (271) jardin ayant vue sur la montagne de Saint-David, et où son intéressant troupeau pouvait se promener le 3/15 octobre, sous des treilles chargées de grappes de beaux raisins. Je m'étais présenté la première fois au moment même du dîner, et je pus m'assurer avec quelle sollicitude l'hygiène préside au repas. Les dortoirs, spacieux et aérés, les salles d'étude, le choix des dames de classe et des maîtres, tout est bien combiné dans cet Institut qui est consacré à l'éducation de cent cinquante demoiselles nobles de la Transcaucasie, et qui est placé sous la haute protection de l'impératrice Alexandra Feodorovna (272).

---

<sup>15</sup> ადოლფ ბერჟე (1828-1886) – რუსი ისტორიკოსი-აღმოსავლეთმცოდნე, არქეოგრაფი, არქეოლოგი, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე 1864-1886 წლებში.

<sup>16</sup> მიხეილ ვორონცოვის მმართველობის დროს, 1846 წელს, თბილისში დაარსდა კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი რუსული გაზეთი „კავკაზ“ («Кавказ»), რომელიც 1877 წლიდან 1918 წლის მარტამდე გამოდიოდა.

<sup>17</sup> მიხეილ ვორონცოვის მმართველობის დროს, 1845 წელს, თბილისში დაარსდა კავკასიის შესახებ პირველი ყოველწლიური ცნობარი „კავკასიის კალენდარი“ («Кавказский календарь»), რომელიც 1917 წლამდე გამოდიოდა.

სასწავლო დაწესებულებებს შორის უნდა აღვნიშნო კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, რომლის მონახულება პეტერბურგში მირჩიეს. ის მარშალმა პასკევიჩმა დააარსა. მისი დირექტორი პატივცემული ქალბატონი კნიპერია, რომელმაც ორჯერ დამათვალისწინებინა შენობის ინტერიერი. ის ქალაქის ზედა ნაწილში, მეტად ჯანსაღ ადგილზე მდებარეობს. მას აქვს შესანიშნავი ბაღი, ხედით წმინდა დავითის მთაზე. 3-15 ოქტომბერს აღსაზრდელებს ამ ბაღში ლამაზი მტევნებით დახუნძლული ვაზის ტალავერში სეირნობა შეუძლიათ. პირველად ვახშმის დროს მივედი და დავრწმუნდი, რომ ტრაპეზის დროს ჰიგიენას მზრუნველობით იცავენ. ფართო და კარგად განიავებული დორტუარები<sup>18</sup>, საკლასო ოთახები, აღმზრდელებისა და მასწავლებლების შერჩევა – ყველაფერი კარგად ერწყმის ერთმანეთს ამ ინსტიტუტში, რომელიც განკუთვნილია კასპისპირეთის ასორმოცდაათი კეთილშობილი ქალიშვილის აღსაზრდელად და იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდოროვნას<sup>19</sup> მაღალი მფარველობის ქვეშ არის.

\*\*\*

Maintenant les costumes. Les hommes à la taille presque toujours mince, un riche poignard à la ceinture, la tête coiffée du *papak* à pointe en peau d'agneau, noir, blanc, gris, objet de luxe dans la finesse de la fourrure; *Yakhaloukh* bordé de ces merveilleux galons d'or et d'argent entremêlés qui ne se fabriquent qu'au Caucase et qu'on essaierait vainement d'imiter ailleurs; le *chalvar* large descendant jusqu'à un soulier relevé en pointe. Ajoutez à cela une belle physionomie et des yeux noirs, exprimant la résolution du caractère des Géorgiens, peuple renommé par sa bravoure (274).

ახლა კოსტიუმები. თითქმის მუდამ წვრილწელიან კაცებს ქამარზე მდიდრული ხანჯალი ჰკიდიათ, თავზე ახურავთ შავი, თეთრი ან ნაცრისფერი კრაველის ფაფახი – კარგი ხარისხის ბეწვი ფუფუნების საგანია; ახალუხი ერთმანეთში გადახლართული ოქროსა და ვერცხლის შესანიშნავი სირმებითაა მოარშიებული, როგორცაც მხოლოდ კავკასიაში ამზადებენ და სხვაგან ამაოდ ეცდებიან მის მიბადვას; განიერი შალვარი (*chalvar*) ფეხსაცმლის წაწვეტებულ წვერს სწვდება. ამას დაუმატეთ ლამაზი სახე და შავი თვალები, რაც ქართველის, სიმამაცით განთქმული ხალხის მტკიცე ხასიათს გამოხატავს.

\*\*\*

Le costume des femmes n'est pas moins remarquable. Il y a le fichu en soie, le goulispiri qui, comme son nom l'indique, couvre les entournures du sein; il est de couleur vive, ainsi rose, sur robe noire; le *khatibé*, robe courte de dessus, en velours grenat, à manches longues pendantes, aux garnitures de gros boutons d'argent, ciselés et niellés; puis, ce qui est si caractéristique, le *thawsacrawi* (lien de tête, mot à mot), vrai bandeau de reine, espèce de couronne en étoffe de soie. La suprême élégance est

<sup>18</sup> დორტუარი (ფრ. dortoir) – რევოლუციამდელ რუსეთსა და ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოსწავლეთა საერთო საწოლი ოთახი დახურულ სასწავლებელში – ინსტიტუტსა თუ პანსიონში.

<sup>19</sup> ალექსანდრა ფეოდოროვნა (1798-1860) – რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ I-ის მეუღლე. რუსეთის იმპერატრიცა 1825-1855 წლებში.

de ne jamais porter deux fois le même. Chez les jeunes femmes il s'entend que c'est un bandeau de soie semé de fleurs, tissées en couleurs éclatantes. Chez les dames plus âgées il est quelquefois en velours blanc; elles y attachent des épingles à tête de diamant, ou bien des plaques d'or émaillé semées de petites fleurs, chefs-d'œuvre d'exécution où excellent surtout les artistes persans. De cette coiffure descend toujours de chaque côté un voile léger, tissu transparent, de couleur blanche, le *létჩაკი*; enfin, quand on sort, il y a le grand voile blanc *tchadri* qui ne se porte jamais avec le khatibé. Il enveloppe toute la personne. Tout simple, chez les riches comme chez les pauvres, il ne diffère que par la finesse du tissu. Les dames géorgiennes ajoutent quelquefois à leur costume une ceinture d'argent niellé, où pend un élégant petit poignard et même un pistolet mignon (274-275).

არანაკლებ აღსანიშნავია ქალების კოსტიუმი. აბრეშუმის გულისპირი (*goulispiri*)<sup>20</sup>, რომელიც, როგორც ამას სახელი მიუთითებს, მკერდის ჭრილს ფარავს; ის მკვეთრი ფერისაა, მაგალითად ვარდისფერი შავ კაბაზე; ქათიბი (*khatibé*)<sup>21</sup> – ზემოდან მოსაცმელი ბროწეულისფერი ხავერდის მოკლე სამოსი, გრძელი ჩამოკიდებული სახელოებით, მსხვილი, მოჩუქურთმებული ვერცხლის ღილებით; შემდეგ ის, რაც ასე დამახასიათებელია – თავსაკრავი (*tavsakravi*)<sup>22</sup>, აბრეშუმის ქსოვილის ჭეშმარიტად დედოფლის საკადრისი გვირგვინის მსგავსი; უმაღლესი ელეგანტურობის ნიშანი ის არის, რომ ერთი და იგივე ორჯერ არასოდეს გაიკეთო. ახალგაზრდა ქალების თავსაკრავი ხასხასა ფერის ყვავილებით მოქარგული აბრეშუმისაა, უფრო ასაკოვანი ქალების თავსაკრავი თეთრი ხავერდისაა, მასზე ამაგრებენ აღმასებთან ქინძისთავს ან ყვავილებით მომინანქრებულ ოქროს ფირფიტას – ხელოვნების შედეგებს, რომელთა შექმნით განსაკუთრებით სპარსელი ხელოსნები გამოირჩევიან. ამ თავსაკრავიდან ყოველ მხარეს ეშვება მსუბუქი, თეთრი ფერის გამჭვირვალე ქსოვილის ვუალი – ლეჩაქი (*létchaki*)<sup>23</sup>; დაბოლოს, სახლიდან გასვლის დროს ქალები ხმარობენ დიდ ვუალს – ჩადრს, რომელსაც არასოდეს არ ატარებენ ქათიბთან ერთად. მასში მთლიანად ეხვევიან, ის სრულიად უბრალოა როგორც მდიდრების, ისე ღარიბებისათვის და მხოლოდ ქსოვილის სინაზით განსხვავდება. ქართველი ქალები თავიანთ კოსტიუმზე ზოგჯერ მოსევადებული ვერცხლის ქამარს ატარებენ, რომელზეც პატარა ელეგანტური ხანჯალი ან პისტოლეტი კიდია.

\*\*\*

J'ai joui de l'hospitalité géorgienne dans la maison de M. Mélik Bégljarov, d'une famille princière du Karabâgh. Il est attaché à la chancellerie particulière du Prince-Lieutenant. J'ai pu y apprécier

<sup>20</sup> „გულისპირი ცალკე მზადდებოდა და ზონრებით ან ღილებით უკან კისერთან იკვრებოდა. იგი ოქრომკედით, თვალ-მარგალიტით ან მძივებით იყო ნაკერი. გულისპირის საკისრე ოდნავ იყო ამოჭრილი“ (ნინო გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან. ქალის ქართული ჩაცმულობა. XIX ს. და XX ს. დასაწყისი. თბილისი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967, 62).

<sup>21</sup> „ქათიბი მრავალნაირი იყო, XIX საუკუნეში მუხლამდე მოკლე. ის წინ მთლიანად გახსნილი იყო, მხოლოდ გულისპირთან იკვრებოდა რამდენიმე ღილით ან ხრიკით“ (*idem*, 65).

<sup>22</sup> „თავსაკრავი ნაპირებგადაკეცილი ქსოვილის განიც ზოლს წარმოადგენდა. თავსაკრავის მასალად სხვადასხვა ფერის აბრეშუმს და ხავერდს იყენებდნენ“ (*idem*, 25).

<sup>23</sup> „ლეჩაქი თავსაბურის ყველაზე თვალსაჩინო ელემენტად ითვლებოდა. ლეჩაქად იხმარებოდა მეტად თხელი, და გამჭვირვალე ქსოვილები“ (*idem*, 27).

l'intérieur paisible de la vie privée en Géorgie, les habitudes de douceur et de bonté des dames, toutes ces attentions si chères à l'étranger que l'on accueille. Le souvenir le plus reconnaissant m'en est resté. Lorsque je quittai cette demeure hospitalière, deux beaux enfants, le frère et la sœur, Constantin et Thérèse, celui-là dans son joli tchekmette du Karabâgh en soie rouge, un petit poignard à la ceinture; celle-ci toute riante, vinrent m'offrir une grande corbeille de fruits et de fleurs que le voyageur emporta dans son tarantasse, en conservant assez loin, sur la route d'Érivan, un bouquet qui avait le parfum de l'hospitalité (275-276).

ყარაბაღელი თავადის, ზ-ნი მელიქ-ბეგლიაროვის სახლში ქართული სტუმართმოყვარეობით ვტკბებოდი. ის მეფისნაცვლის საგანგებო კანცელარიაში მსახურობს. მე დავაფასე საქართველოში მშვიდი, ოჯახური ცხოვრება, ქალბატონების სინაზე და სიკეთე, მათ მიერ გამოჩენილი ყურადღება, რაც ასე ძვირფასია უცხოელი სტუმრისთვის. სახსოვრად დიდი მადლიერების გრძნობა დამრჩა. ამ სტუმართმოყვარე ოჯახიდან წასვლისას ორმა ლამაზმა ბავშვმა, ძმამ და დამ, ყარაბაღელი აბრეშუმის ლამაზ, წითელ ახალუხში გამოწყობილმა კონსტანტინემ, რომელსაც ქამარზე პატარა ხანჯალი ეკიდა და მისმა ღიმილიანმა დამ, ტერეზამ, ხილითა და ყვავილებით სავსე დიდი კალათა მომართვეს, რომელიც მგზავრს თან მიაქვს ტარანტასით და ერევნისაკენ მიმავალ გზაზე კიდევ დიდხანს ინახავს სტუმართმოყვარეობის სურნელით გაჯერებულ თაიგულს.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)